

პ რ ო ე ქ ტ ი

სსიპ – „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“
შეთავსებით სამუშაოზე დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების დადების წესი

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

1. ეს წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში (შემდგომში – „მაუწყებელი“) ერთ პიზიციაზე დასაქმებული თანამშრომელის მაუწყებელში სხვა პოზიციაზე დასაქმების ზოგად წესს;
2. ამ წესის მიზანია მაუწყებლის სისტემაში დასაქმებული პირების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება;
3. მაუწყებელში დასაქმებული ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე წესი;

მუხლი 2. მაუწყებლის სტრუქტურა

1. მაუწყებელში არსებული სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია მაუწყებლის დებულებით;
2. მაუწყებელში არსებული სტრუქტურული ერთეულები იყოფა სამ ნაწილად:
 - 2.1. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განხორციელებისკენ მიმართული სტრუქტურული ერთეულები;
 - 2.2. ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები;
 - 2.3. მაუწყებლობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების ჯეროვნად/ხარისხიანად განხორციელების მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულები.
3. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები თავის მხრივ იყოფა მწარმოებელ და მაკონტროლებელ (განვითარებაზე ორიენტირებულ) ერთეულებად.
 - 3.1. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განმახორციელებელი/მწარმოებელი სტრუქტურული ერთეულებია:
 - 3.1.1. ახალი ამბების სამსახური;
 - 3.1.2. საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური;
 - 3.1.3. მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური;
 - 3.1.4. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური;
 - 3.1.5. საარქივო სამსახური;
 - 3.2. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განხორციელების ჯეროვან შესრულებაზე (განვითარებაზე) კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები:
 - 3.2.1. სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური;
 - 3.2.2. რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახური;

4. ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია:

4.1. ფინანსური ეფექტიანობის სამსახური;

4.2. იურიდიული მხარდაჭერის სამსახური;

4.3. საკადრო ბაზის განვითარების სამსახური;

5. მაუწყებლობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების ჯეროვნად/ხარისხიანად განხორციელების მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულებია:

5.1. მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური;

5.2. შიდა აუდიტის სამსახური;

მუხლი 3. სამსახურებრივი შეუთავსებლობა/ინტერესთა კონფლიქტი მაუწყებლის გარეთ

1. მაუწყებლის თანამშრომელს არ აქვს უფლება ეკავოს თანამდებობა ან ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სამაუწყებლო კომპანიაში, გარდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“;

2. მაუწყებლში დასაქმებულ პირთა მაუწყებლის გარეთ საქმიანობასთან დაკავშირებული შეუთავსებლობები (ინტერესთა კონფლიქტი) განსაზღვრულია „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი“ს 22-ე თავით;

მუხლი 4. სამსახურებრივი შეუთავსებლობა/ინტერესთა კონფლიქტი მაუწყებლის შიგნით

1. მაუწყებლის შიგნით სტრუქტურულ ერთეულებს შორის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განსაზღვრულია მაუწყებლის დებულების 3.2. პუნქტით;

2. შეთავსებით სამუშაოზე პირის აყვანა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირს ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

3. შეუთავსებელია სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განხორციელების ჯეროვან შესრულებაზე (განვითარებაზე) კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებში დასაქმებული სუბიექტი, პარალელურად ითავსებდეს სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განმახორციელებელი/მწარმოებელი სტრუქტურული ერთეულებში არსებულ პოზიციებს;

4. შეუთავსებელია ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული სუბიექტების საქმიანობა:

4.1. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განხორციელების ჯეროვან შესრულებაზე (განვითარებაზე) კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებში;

4.2. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განმახორციელებელ/მწარმოებელ სტრუქტურულ ერთეულებში;

4.3. მაუწყებლობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების ჯეროვნად/ხარისხიანად განხორციელების მაკონტროლებელ სტრუქტურულ ერთეულებში;

5. შეუთავსებელია მაუწყებლობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების ჯეროვნად/ხარისხიანად განხორციელების მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულებში დასაქმებული სუბიექტების საქმიანობა:

- 5.1. ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებში;
- 5.2. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განხორციელების ჯეროვან შესრულებაზე (განვითარებაზე) კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებში;
- 5.3. სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის განმახორციელებელ/მწარმოებელ სტრუქტურულ ერთეულებში;
6. შეუთავსებელია მაუწყებლის ერთი და იგივე სტრუქტურულ ერთეულში ახლო ნათესავების ერთდროული საქმიანობა, მაშინ როდესაც ერთ-ერთი სამსახურის უფროსი ან უფროსის მოადგილეა ან/და სხვა ზედამხედველობის ფუნქციით აღჭურვილი პასუხისმგებელი პირია;
7. შეუთავსებელია მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში ახლო ნათესავების ერთდროული საქმიანობა, მაშინ როდესაც ერთი სტრუქტურული ერთეული ასრულებს მაკონტროლებლის ფუნქციის მატარებელს, მაიუხედავად ახლო ნათესავების მიერ დაკავებული სამსახურებრივი პოზიციებისა;
8. შეუთავსებელია საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციაზე დასაქმებული პირი პარალელურად ითავსებდეს არასაშტატო პოზიციით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამსახურებრივ პოზიციას;
9. საშტატო განრიგით გათვალისწინებულ სამსახურებრივ პოზიციაზე დასაქმებული სუბიექტის არასაშტატო პოზიციით გათვალისწინებულ საქმიანობის შესრულება (ანაზღაურების გარეშე) არ შეიძლება აღემატებოდეს სამ თვეს;
10. შეუთავსებელია არასაშტატო პოზიციაზე დასაქმებული სუბიექტის პარალელური საქმიანობა საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციაზე, სამ თვეზე მეტი ვადით;
11. შეუთავსებელია სამსახურის ხელმძღვანელის ან/და მისი მოადგილის პარალელური საქმიანობა სხვა საშტატო თუ არასაშტატო პოზიციებზე. გამონაკლისს წარმოადგენს მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილებით უფლებამოსილების დაკისრება, კონკურსის გამოცხადებამდე პერიოდში, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს სამ თვეს;
12. სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულის მიერ იმავე სტრუქტურულ ერთეულში შეთავსებით საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ წესის მეხუთე მუხლით გათვალისწინებული წესი;
13. ამ წესის მიზნებისათვის ახლო ნათესავად ითვლება: მეუღლე, და, ძმა, შვილი, გერი, მშობელი, მეუღლის და, ძმა, მშობელი;
14. ამ წესით გათვალისწინებულ „საშტატო განრიგში“ იგულისხმება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 3⁵⁹ -ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტით გათვალისწინებული მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგი.

მუხლი 5. სამსახურებრივი შეთავსებები მაუწყებლის შიგნით

1. დასაშვებია მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის არასაშტატო პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლის საქმიანობა
- 1.1. საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში - წამყვანის, რეპორტიორის და ოპერატორის პოზიციაზე;

- 1.2. მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურში - სპეციალისტის პოზიციაზე;
2. დასაშვებია სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის არასამტატო პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლის საქმიანობა რადიო და ინტერენტ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში არასამტატო პოზიციებზე და პირიქით;
3. დასაშვებია მატრიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურში დასაქმებული თანამშრომლის პარალელური საქმიანობა
 - 3.1. ახალი ამბების სამსახურში - რეპორტიორის ან ოპერატორის პოზიციაზე;
 - 3.2. საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში - წამყვანის, რეპორტიორის და ოპერატორის პოზიციაზე;
 - 3.3. მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურში - სპეციალისტის პოზიციაზე;
4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შეთავსებაზე გადაწყვეტილებას იღებს მაუწყებლის დირექტორი, მმართველი საბჭოს შუამდგომლობის (საოქმო გადაწყვეტილების) საფუძველზე;
 5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შეთავსებით სამუშაოზე სუბიექტი პირველ ეტაპზე ინიშნება გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 6 თვეს;
 6. შეთავსებით პოზიციებზე დასაქმებული პირი ყოველთვიურად ამზადებს საქმიანობის ანგარიშ(ებ)ს, თითოეულ პოზიციაზე და წარუდგენს სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)ს;
 7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დროის მონაკვეთში, პერიოდულად (მაგრამ არა ნაკლებ სამისა) ხდება დასაქმებულის შეფასება ორივე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ. შეფასების შედეგები წარედგინება მმართველ საბჭოს, გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა;
 8. მმართველი საბჭო შეფასების შედეგებს განიხილავს მისი წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: (ა) გამოსაცდელი ვადის წარმატებით შეფასების შესახებ; (ბ) გამოსაცდელი ვადის არადადამაკმაყოფილებლად შეფასების შესახებ.
 9. დასაქმებულის შეთავსებით საქმიანობის ვადის გაგრძელების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება, დირექტორის მიერ მმართველი საბჭოს შუამდგომლობის (საოქმო გადაწყვეტილების) საფუძველზე (გათვალისწინებით);

მუხლი 6. შეთავსებასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურება

1. მაუწყებლის შიგნით დასაქმებულის შეთავსებით საქმიანობის გადაწყვეტამდე, აუცილებელია საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდეს დასკვნა შეთავსებით სამუშაოზე პირის აყვანის აუცილებლობის (საჭიროების) და ვადის თაობაზე;
2. შეთავსებით სამუშაოზე პირის აყვანის მიზანშეწონილობის საკითხს განიხილავს მმართველი საბჭო საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დასკვნის წარდგენის საფუძველზე;

3. მმართველი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დასაქმებულის შეთავსებით სამუშაოზე აყვანა, ხორციელდება დირექტორის ბრძანებით, რის საფუძველზეც ფორმდება შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით;
4. დასაქმებულისათვის შეთავსების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, დამატებით პოზიციაზე შრომის ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს, ძირითად პოზიციაზე არსებული ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ნახევარს;
5. შეთავსებით პოზიციაზე მომუშავეთა საერთო რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მაუწყებელში დასაქმებულთა რაოდენობის ორ პროცენტს.

მუხლი 7. გარდემავალი დებულებები

1. აღნიშნული წესით მე-4 მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 01 იანვრიდან;
2. აღნიშნული წესის სხვა ნორმები ამოქმედდეს ეტაპობრივად, კერძოდ: აღნიშნული წესის ძალაში შესვლის შემდეგ შეთავსებით საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყდეს ამ წესის შესაბამისად;

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.